განკარგულება:**g-81.8122089001**
თარიღი:**30/03/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №15

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის № 200 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისათვის 2020-2022 წლებში განსაკარგი თანხის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 ივნისის №920 განკარგულების შესაბამისად საქართველოს რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მოწონებული იქნას საპროექტო წინადადება „უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორიის ძეგლის- დეხვირის ციხეთა კომპლექსის ტერიტორიაზე „ღია ცის ქვეშ“ განთავსებული მუზეუმის არტეფაქტებისათვის საგამოფენო სივრცეების მოწყობა“.

მუხლი 2.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის თანადაფინანსების საჭირო თანხების გამოყოფა განახორციელოს მუნიციპალიტეტის მერიამ.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქუჩა №69).

მუხლი 4.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი